

თბილისის მეტროს ოთხი ახალი შემადგენლობა დაემატება



დედაქალაქის მეტროს ოთხი ახალი შემადგენლობა დაემატება. ახალი შემადგენლობების დამატება პიკის საათებში მოცდის დროის შემცირებას ემსახურება.

„ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით, მეტროში ცვლილებებს ვაპირებთ, რადგან პიკის საათებში ძალიან ბევრი მგზავრი გადაყავს, მათ 5-6 წუთი დოღინი უწევდათ. ეს სერიოზულ დისკომფორტს და პრობლემას წარმოადგენდა. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, მეტროს სამი ოთხვაგონიანი შემადგენლობა დაემატება, რომელიც „ახმეტელის თეატრი“ – „ვარკეთილის“ ხაზზე იმოძრავენს. ერთი სამვაგონიანი შემადგენლობა საბურთალოს ხაზზეც დაემატება.

ეს მოგვცემს შესაძლებლობას, რომ პიკის საათებში, როდესაც ყველაზე მეტი მგზავრი გადაადგილდება, მოცდა შევამციროთ სამ წუთამდე.

მომდევნო წლების განმავლობაში, ახალი შემადგენლობების დამატებას ვგეგმავთ, ვაპირებთ ძველი ვაგონების მთლიან მოდერნიზაციას და გვსურს, მეტრო იყოს ერთ-ერთი კომფორტული გადაადგილების საშუალება მგზავრებისთვის. ზოგადად, ტრანსპორტის პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი 2019 წლისთვის, არსებული პარკი, რომელიც არის მოძველებული და მძიმე მდგომარეობაში, მთლიანად განახლდება და ამას დაემატება მეტროს ვაგონების მოდერნიზება“, – განაცხადა ვახა ვარაძემ.